

JEL Classification: A12; G01; H12; I15

<https://doi.org/10.35945/gb.2020.10.001>

ON THE REFLECTION OF CORONOMICS IN ECONOMIC SCIENCE AND ECONOMIC POLICY

VLADIMER PAPA VA**Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University,**

Principal Research Fellow, Paata Gugushvili Institute of Economics, Georgia

vladimer.papava@tsu.ge

Abstract. The paper discusses the economic issues of the COVID-19 pandemic. The resulting coronomic crisis is not a typical economic crisis since the coronomic crisis was not formed in the economy itself but is the result of the inability of medicine to solve the pandemic problem. The coronomic crisis is, by its very nature, an atypical economic crisis and is fundamentally different from other atypical economic crises that took place in the XX century. The coronomic crisis put the issue of the “crisis of globalization” on the agenda. The coronomic crisis exposed the weaknesses of globalization. Overcoming the COVID-19 pandemic is possible exclusively at the global level. The paper shows that the current process of de-globalization is “forced” by its nature and it will definitely be replaced by a qualitatively renewed process of globalization. Economic recovery from the corona crisis will be most successful only on the basis of the adherence to a free trade regime. In economic science, the problem of government intervention in the economy, especially during the pandemic and the post-pandemic period, is still relevant. The corona crisis has clearly confirmed the inability of inflation targeting to achieve macroeconomic stability. The coronomic crisis requires two approaches to economic policy. In particular, we mean an anti-crisis economic policy and a post-crisis economic policy. Economic incentives provided by the government to businesses contribute to the zombieing of the economy which will be one of the most difficult problems of the post-crisis period. The coronomic crisis made the issue of the economic security of each individual country even more urgent. The problem of ensuring food security is equally important. The economic policy of the post-crisis period must necessarily include measures to ensure a country’s food security. Since the possibility of a repetition of a pandemic in the future is similar to the current one, the problems of coronomics should remain in the field of study of economists for many years.

KEYWORDS: ECONOMIC SCIENCE, ECONOMIC POLICY, CORONOMIC CRISIS, GLOBALIZATION/DEGLOBALIZATION, ZOMBIE-FIRMS.

For citation: Papava, V., (2020). On the Reflection of Coronomics in Economic Science and Economic Policy. *Globalization and Business*, 10. 13-24. (In Georgian). <https://doi.org/10.35945/gb.2020.10.001>

ეკონომიკურ მეცნიერებასა და ეკონომიკურ პოლიტიკაში კორონომიკსის ასახვის შესახებ

ვლადიმერ პაპავა

აკადემიკოსი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, საქართველო
vladimer.papava@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური მეცნიერება, ეკონომიკური პოლიტიკა, კორონომიკური კრიზისი, გლობალიზაცია/დეგლობალიზაცია, ზომბი-ფირმები.

ციტირებისთვის: პაპავა ვ. (2020). ეკონომიკურ მეცნიერებასა და ეკონომიკურ პოლიტიკაში კორონომიკსის ასახვის შესახებ. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, №9, გვ. 13-24. <https://doi.org/10.35945/gb.2020.10.001>

შესავალი

2020 წელს მსოფლიო დადგა ახალი გამოწვევის წინაშე, როცა კორონავირუსის COVID-19-ის გლობალურმა გავრცელებამ ეკონომიკას, როგორც ასეთს, თვისებრივად ახალი პრობლემები შეუქმნა.

ცნობილი ფაქტია, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2003 წელს ატიპური პნევმონიის აფეთქება სიცოცხლისთვის განსაკუთრებით საშიში იყო, მას გლობალურ მასშტაბში იმ ტიპის სირთულეები არ შეუქმნია, რაც კორონავირუსის ახალმა შტამმა გამოიწვია. ამის მიზეზი კი გახლავთ ის, რომ COVID-19 ბევრად უფრო ადვილად გადადები და, შესაბამისად, უფრო სწრაფად გავრცელებადი დაავადება აღმოჩნდა. ამან კი მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ხელმძღვანელს მისცა იმის ობიექტური საფუძველი, რომ COVID-19-ის გავრცელება პანდემიად შეეფასებინა (Ghebreyesus, 2020).

COVID-19-ის პანდემიის განსაკუთრებლ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ვერც ერთი ქვეყნის მთავრობამ, სადაც კორონავირუსი გავრცელდა, სრულად ვერ გააცნობიერა, თუ რა სირთულის ამოცანის გადაჭრის წინაშე დადგა. ამას ისიც დაემატა, რომ ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა შექმნილ ვითარებას შეგნებულად მალავდა, სანამ კორონავირუსის გავრცელებამ მასშტაბური ხასიათი არ მიიღო (მაგალითად, Faddis, 2020; Pei, 2020).

მართალია კორონავირუსი თავისი ბუნებით, უწინარეს ყოვლისა, სამედიცინო პრობლემაა, მაგრამ მან განსაკუთრებული სირთულეები შეუქმნა ეკონომიკას. კერძოდ, დაავადების გავრცელების პრევენციის მიზნით საჭირო გახდა ადამიანებს შორის კონტაქტების მინიმუმამდე დაყვანა, რის გამოც არაერთ ფირმას მოუწია საქმიანობის შეჩერება. შედეგად კი მსოფლიოში ახალი გლობალური ეკონომიკური კრიზისი დაიწყო (Geller, Wiseman, Rugaber, 2020).

კორონავირუსის ზეგავლენა ეკონომიკაზე იმდენად მნიშვნელოვანი შეიქნა, რომ აჯით დე ალვისმა (Ajith de Alwis) შრი-ლანკიდან ახალი ტერმინი — „კორონომიკი“ („Coronomics“) შექმნა, რომელიც ორი ტერმინის — „კორონა“ („Corona“) და „ეკონომიკი“ („Economics“) — გაერთიანებით მიიღება და რომელიც კორონავირუსის ეკონომიკაზე ზეგავლენას შეისწავლის (Alwis, 2020). მოგვიანებით მისი მსგავსი ტერმინიც — „კორონანომიკი“ იქნა შემოთავაზებული („Coronanomics“) (Eichengreen, 2020).

კორონომიკსის აქტუალურობას მხოლოდ კორონავირუსის პანდემია კი არ განაპირობებს, არამედ ამ ტიპის გლობალური სირთულეების მომავალში წარმოქმნის რეალური შესაძლებლობაც, რის გამოც სულ უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს მოსაზრება, რომ მსოფლიომ უნდა ისწავლოს ზოგადად პანდემიის პირობებში ცხოვრება და ეკონომიკური საქმიანობა (Gigerenzer, 2020).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ კორონომიკსის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა თანამედროვე ეკონომისტებისთვის უმთავრეს გამოწვევად იქცა. პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში მეცნიერ-ეკონომისტთათვის (მათ შორის ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის არაერთი ლაურეატისათვისაც) კვლევის უმთავრეს სფეროს სწორედ კორონომიკის წარმოადგენს, რასაც ადასტურებს სამეცნიერო თუ ანალიტიკური სტატიების საკმაოდ დიდი რაოდენობა. გამოიცა პირველი მონოგრაფიული ხასიათის გამოკვლევაც (Baldwin, Mauro, eds. 2020). საყურადღებოა, რომ ამ კუთხით არც ქართველ ეკონომისტთა საქმიანობაა გამონაკლისი, რომლებმაც არაერთი საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნეს როგორც თეორიული საკითხებზე, ისე უშუალოდ საქართველოს ეკონომიკასთან მიმართებაში (Abesadze, 2020; Archvadze, 2020a, 2020b; Benashvili, 2020; Charaia, 2020; Djibuti, 2020; Gaganidze, 2020; Kakulia, 2020; Kovzanadze,

2020; Mekvabishvili, 2020; Papava, 2020a, 2020b; Papava, Charaia, 2020; Shengelia, 2020).

დღეს უკვე ყველასთვის ნათელია, რომ ეკონომიკურ მეცნიერებას და პრაქტიკას საქმე აქვს შეუსწავლელ ფენომენთან – როგორ წარიმართოს ეკონომიკური საქმიანობა პანდემიის დროს და როგორ მოხდეს ეკონომიკის აღდგენა პანდემიის შემდგომ პერიოდში.

წინამდებარე კვლევის მიზანია იმის გააზრება, თუ რა უმთავრეს პრობლემებს წამოწევს წინა პლანზე კორონომიკის ეკონომიკური მეცნიერების წინაშე და რა ძირითად სირთულეებთან არის დაკავშირებული თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება პანდემიის ფაქტორის გათვალისწინებით.

კორონომიკის და ეკონომიკური მეცნიერება

COVID-19-ის პანდემიის დაწყებამდე ეკონომისტები მედიცინასთან მიმართებაში, როგორც წესი, იკვლევდნენ ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენას ზოგადად ჯანდაცვის სისტემაზე (Maresso, Mladovsky, Thomson, et al., eds., 2015), მოსახლეობის ფსიქიკურ ჯანმრთელობასა (WHO, 2011) და ინფექციურ დაავადებათა გავრცელებაზე (Suhrcke, Stuckler, Suk, et al., 2011). პანდემიამ კი პირიქით დააყენა საკითხი, რადგანაც კორონავირუსი და მისი გლობალურად გავრცელება გახდა ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი (Geller, Wiseman, Rugaber, 2020). სხვა სიტყვებით, კორონავირუსის გავრცელება „ეკონომიკურ პანდემიად“ ჩამოყალიბდა (Riley, 2020).

აღსანიშნავია, რომ მედიკოსები, სამწუხაროდ, თავიდანვე აღიარებდნენ რომ არ შეეძლოთ რაიმე დამაჯერებელი ეთქვათ კორონავირუსის დაძლევის და მისი გავრცელების შეზღუდვის ძალისხმევის ეფექტიანობის შესახებ. შედეგად, კი პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა ეკონომიკური აგენტების შესაძლო ქცევასთან დაკავშირებით მეტ-ნაკლებად მკაფიო ეკონომიკური პროგნოზების გაკეთება (Carlsson-Szlezak, Reeves, Swartz, 2020).

COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული გლობალური ეკონომიკური კრიზისი იმით გამოირჩევა, რომ მისი გამომწვევი მიზეზები არა ენდოგენური, არამედ ეგზოგენური ხასიათისაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს მიზეზები გენერირებულია არა ეკონომიკაში, არამედ პროვოცირებულია ეკონომიკის ფარგლებს გარეთ არსებული წყაროს მიერ. ეს წყარო კი კორონავირუსის სწრაფი გავრცელებაა. მაშასადამე, მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი მანამდე ვერ იქნება დაძლეული, სანამ მედიკოსები, მიკრობიოლოგები და ფარმაცოლოგები მკურნალობის ეფექტიან საშუალებებს არ შეიმუშავებენ და სათანადო ვაქცინა არ შეიქმნება. გამოდის, რომ პანდემიის პირობებში ეკონომიკა მედიცინის მძევალია, ხოლო ჩამოყალიბებული გლობალური ეკონომიკური კრიზისი სულაც არ

არის ე.წ. „ტიპიური“ ეკონომიკური კრიზისი, მას „კორონომიკური კრიზისის“ (“Coronomic Crises”) კვალიფიკაცია უნდა მიეცეს (Papava, 2020).

როგორც მოსალოდნელი იყო კორონომიკურმა კრიზისმა ეკონომიკური მეცნიერების წინაშე არაერთი პრობლემა წარმოშვა (მაგალითად, Basu, 2020; Hamada, 2020). ეს კი ართულებს მეცნიერების ამ დარგის მდგომარეობას, რომელიც არც ამ კრიზისის დაწყებამდე (განსაკუთრებით კი 2008–2009 წლების გლობალური ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის ფონზე) იყო სახარბიელო (Balarijshvili, 2018; Birks, 2016; Bookstaber, 2017; Davies, 2010; Fullbrook, 2016; Heilbroner, Milberg, 1996; Hey, eds., 1992; Hill, Myatt, 2010; Kanth, 1997; Kharbedia, 2018; Leiashvily, 2012; Marqués, 2016; McCloskey, 2010; Mekvabishvili, 2018; Offer, Söderberg, 2016; Paarlberg, 1968; Papava, 2018; Pilkington, 2016; Rodrik, 2015a, 2015b; Sandmo, 2011; Shapatava, 2018; Shiller, 2019; Skidelsky, 2016; Söderbaum, 2017; Staveren, 2015; Stiglitz, 2010a, 2010b; Syll, 2016; Tokmazishvili, 2018; Turner, 2012).

სამწუხაროდ, ეკონომიკური მეცნიერება დიდი ხნის განმავლობაში თავად იმყოფება კრიზისში (მაგალითად, Papava, 2018), რაც ვლინდება შემდეგი მიმართულებებით: კერძოდ, ეკონომიკური მეცნიერება ჩამორჩება პრაქტიკას და, უკეთეს შემთხვევაში, უკვე მომხდარი ეკონომიკური მოვლენის ინტერპრეტაციის ფუნქციას ასრულებს (მაგალითად, Tokmazishvili, 2018), ამასთან ერთად კი, ეკონომიკური მეცნიერება უშვებს შეცდომებს, რის გამოც უნებლიედ უწყობს ხელს ეკონომიკური კრიზისის წარმოქმნას (Stiglitz, 2010b).

მიუხედავად იმისა, რომ კორონომიკური კრიზისი არ არის „ტიპიური“ ეკონომიკური კრიზისი, ის ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებაც ყველაზე აქტიურად განიხილება ეკონომისტების მიერ, ძირითადად 2008–2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის გამოცდილებასთანაა დაკავშირებული (Hatheyway, 2020). ეს კი სულაც არ იძლევა იმის საფუძველს, რომ კორონომიკური კრიზისი ტიპიურ ეკონომიკურ კრიზისთან გავაიგივოთ (Roach, 2020).

საყურადღებოა, რომ XX საუკუნის მსოფლიოსათვის ცნობილია ე.წ. „ატიპიური“ ეკონომიკური კრიზისები, როგორებიც იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებული ეკონომიკური კრიზისი და კომუნისტური რეჟიმების ჩამოშლის შემდეგ გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი. ლოგიკურია კითხვა იმის შესახებ, თუ ამ ატიპიურ ეკონომიკურ კრიზისებსა და ასევე ატიპიურ კორონომიკურ კრიზისს შორის მსგავსების არსებობა რამდენადაა შესაძლებელი?

მეორე მსოფლიო ომმა თავისი ბუნებიდან გამომდინარე დაანგრია ქალაქები, სოფლები, ინფრასტრუქტურა. ომის დასრულების შემდეგ გადაუდებელი მნიშვნელობის ამოცანა მათი აღდგენა იყო. კორონომიკური კრიზისის შემთხვევაში მსგავს ნგრევას საერთოდ არ აქვს ადგილი. ამიტომ ამ ორი კრიზისს შორის მსგავსებაზე ბევრად უფრო დიდი განსხვავებაა.

რაც შეეხება კომუნისტური რეჟიმის ჩამოშლის შემდეგ გამოწვეულ ეკონომიკურ კრიზისს, ის გამოწვეული იყო იმით, რომ ამ ჩამოშლას მოჰყვა ერთი ეკონომიკური სისტემიდან (მბრძანებლური ეკონომიკიდან) მეორეზე (საბაზრო ეკონომიკაზე) გადასვლა. კორონომიკური კრიზისის პირობებში კი ეკონომიკური სისტემა მსგავს ცვლილებას საერთოდ არ განიცდის, ხოლო პრობლემას კი ის ქმნის, რომ გარკვეული დროით შეჩერებული ეკონომიკა სრული დატვირთვით მანამდე ვერ ამოქმედდება, სანამ პანდემია არ დასრულდება.

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ თავისი ბუნებით კორონომიკური კრიზისიც ატიპიურია, ის სხვა ატიპიური ეკონომიკური კრიზისებისგან მაინც არსებითად განსხვავდება (Papava, 2020b)

კორონომიკურმა კრიზისმა არაერთი რთული ამოცანის წინაშე დააყენა ეკონომიკური მეცნიერება. მათგან ყველაზე მთავარია გლობალიზაციის პრობლემა.

ზოგადად სოციალურ მეცნიერებებში, და მათ შორის ეკონომიკურ მეცნიერებაშიც, გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ გლობალიზაცია, როგორც ასეთი, გარდაუვალი პროცესია. COVID-19-ის პანდემიამ კი ეჭვის ქვეშ დააყენა ის და გააჩინა კითხვები იმასთან დაკავშირებით, სრულად და საბოლოოდ ხომ არ ჩაანაცვლებს გლობალიზაციას დეგლობალიზაცია, რომელიც იზოლაციონიზმით დასრულდება.

ამ ეჭვის წარმოქმნას დიდად შეუწყო ხელი იმან, რომ COVID-19-ის პანდემიამ მკაფიოდ გამოკვეთა თანამედროვე გლობალიზაციის სუსტი მხარეები, როცა ვირუსის სწრაფმა გავრცელებამ ყველას დაანახა, რომ გლობალურ ინსტიტუციებს (უწინარეს ყოვლისა კი, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას) საერთოდ არ აღმოაჩნდათ სწრაფი რეაგირების მეტ-ნაკლებად ეფექტიანი მექანიზმები. ამან კი გამოიწვია ის, რომ, თითოეულმა სახელმწიფომ პანდემიის წინააღმდეგ მოქმედება დამოუკიდებლად დაიწყო. ბუნებრივია, რომ შექმნილმა სიტუაციამ ხელი შეუწყო იმ განწყობის ფორმირებასა და გაძლიერებას, რომლის თანახმადაც 2020 წელს უკვე დეგლობალიზაციის პროცესი იქნა დაწყებული.

სულაც არ არის გასაკვირი, რომ COVID-19-ის პანდემია „გლობალიზაციის კრიზისად“ იქნა აღქმული.

სშირად ყურადღების მიღმა რჩება ის შემთხვევები, რომლებიც გლობალიზაციის ობიექტურ ხასიათზე მეტყველებენ. ასეთია მაგალითად, ნარკობიზნესი, რომელსაც პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში ებრძვიან, მაგრამ, ამის მიუხედავად ბიზნესის ეს არალეგალური სახეობა კარგა ხანია რაც გლობალური ხასიათისაა. ასევე გლობალიზაციის კონტექსტში ყურადსაღებია ინტერნეტი, ენერგეტიკა, იარაღით ვაჭრობა, აშშ დოლარის გავრცელება და სხვ. დღეს კი ამათ COVID-19-ის გლობალური გავრცელებაც დაემატა.

აუცილებელია, გვახსოვდეს, რომ დეგლობალიზაციის პირობებში გატარებული მეტ-ნაკლებად იზოლაციონისტური პოლიტიკა უარყოფითად არა მხოლოდ ეკონომიკურ ზრდაზე (Rogoff, 2020), არამედ სოციალურ, პოლიტიკურ და გარე-

მოსდაცვით სფეროებზეც აისახება (Haass, 2020). მაშასადამე, დეგლობალიზაცია, სხვა თანაბარ პირობებში, კი არ შეამსუბუქებს, არამედ კაცობრიობის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტას კიდევ უფრო გაართულებს.

ვთვლი, რომ თანამედროვე მსოფლიოში „იძულებითი დეგლობალიზაციის“ პროცესი მიმდინარეობს, რაც იმან განაპირობა, რომ COVID-19-ის მასობრივი გავრცელება აღმოჩნდა მოულოდნელი და სწრაფი, ხოლო ამ პრობლემის წინააღმდეგ სამოქმედოდ კი მზად არავინ იყო, რის გამოც ყველა სახელმწიფო უმთავრესად იზოლირებულად მოქმედებდა (Papava, 2020c).

პანდემიის გლობალური ხასიათიდან გამომდინარე იზოლაციონიზმის პირობებში მისი დაძლევა შეუძლებელია. პირიქით, საჭიროა გლობალური მასშტაბის კოორდინირებული მოქმედება (Mazzucato, Torreele, 2020).

ეკონომისტთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ეჭვს არ იწვევს, რომ ყველა ის ქვეყანა, რომელიც თავისუფალ ვაჭრობას შეეწინააღმდეგება, საბოლოო ჯამში ეკონომიკურად უფრო მეტად დაზარალდება (მაგალითად, Åslund, 2020). იმისთვის, რომ ქვეყნებმა შეძლონ კორონომიკური კრიზისის შედეგების შემსუბუქება, აუცილებელია, მათ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობით უზრუნველყონ საკუთარი შედარებითი უპირატესობის გამოყენება (Fung, 2020).

მიუხედავად ამისა, აუცილებელია იმის არდავიწყება, რომ დეგლობალიზაციის პროცესი ჯერ კიდევ COVID-19-ის პანდემიამდე აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა დაიწყო (მაგალითად, Sachs, 2017b), რაც პანდემიის პირობებში კიდევ უფრო გაღრმავდა. დონალდ ტრამპის მეორე ვადით არჩევის შემთხვევაში დეგლობალიზაცია მეტ-ნაკლებად შეინარჩუნებს „ტრენდულ“ ხაიათს. ეს პერიოდი ქვეყნებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ იმისთვის, რომ უკეთ მოემზადონ განახლებული გლობალიზაციის პროცესის თვისებრივად უფრო მაღალ საფეხურზე გადასასვლელად (El-Erian, 2020).

დიალექტიკის ცნობილი ერთ-ერთი მთავარი კანონის – უარყოფის უარყოფის არსიდან გამომდინარე ეკონომიკური მეცნიერებისათვის ერთ-ერთ გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს გლობალიზაციის და დეგლობალიზაციის (თუნდაც იძულებითის) მონაცვლეობის გარდაუვალი ხასიათის შესწავლა.

თავის მხრივ, დეგლობალიზაციისათვის დამახასიათებელია მოცემული კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკის ავტონომიური ფუნქციონირების გაღრმავება, რაც, სხვა თანაბარ პირობებში, სახელმწიფოს როლის სულ უფრო მეტად გაძლიერებას მისცემს სტიმულს (Rodrik, 2020). აქედან გამომდინარე, კორონომიკური კრიზისის დროს სულაც არ არის გასაკვირი კეინსიანიზმის იდეების პოპულარობის ზრდა (მაგალითად, Velasco, 2020). აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ თავად COVID-19-ის პანდემიის დამარცხება სახელმწიფოს აქტიური მოქმედების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია (Stiglitz, 2020a).

მაშასადამე, ეკონომიკური მეცნიერებისათვის სახელ-

მწიფოს ეკონომიკაში ჩარევის ეფექტიანობის პრობლემის კვლევა ტრადიციულ აქტუალურობას კვლავ ინარჩუნებს.

აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ COVID-19-ის პანდემიამ წინ წამოსწია საავტორო უფლებების დაცვის და პატენტების არსებული სისტემის გადახედვის აუცილებლობა (Stiglitz, Jayadev, Prabhala, 2020). ამ კუთხით ეკონომიკურმა მეცნიერებამ უნდა შეისწავლოს საზოგადოებრივი დოვლათის ტრადიციული ფარგლების გაფართოების შესაძლებლობა და ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებისთვის მოამზადოს რეკომენდაციები, რომელთა თანახმადაც ახალი ტექნოლოგიები სწორედ ამ ტიპის დოვლათად „გარდაიქმნება“ (Sachs, 2017a: 91).

კორონომიკური კრიზისის ერთ-ერთ თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ეკონომიკის გაჩერების გამო ერთობლივი მოთხოვნის შემცირებასთან ერთად კიდევ უფრო მეტად ერთობლივი მიწოდება შემცირდა (Rogoff, 2020). ეს კი, თავის მხრივ, უშუალოდ აისახება ინფლაციის ზრდაზე, რომლის შეფერხებასაც ცენტრალური ბანკები მათ ხელთ არსებული ინსტრუმენტებით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებენ, თუ კი გაიზრდინან საპროცენტო განაკვეთებს, რაც საბოლოო ჯამში ერთობლივ მიწოდებასა და ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად აისახება.

ერთობლივი მიწოდების შემცირებამ თავის მხრივ სერიოზული პრობლემები შეუქმნა იმ ქვეყნების ეკონომიკას, რომელთა ცენტრალური ბანკებიც ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს იყენებენ (Papava, Charaia, 2019).

კორონომიკურმა კრიზისმა ნათლად წარმოაჩინა ცენტრალური ბანკების მიერ ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის სუსტი მხარეები, რაც ეკონომიკური მეცნიერების წინაშე დღის წესრიგში აყენებს მონეტარული პოლიტიკის უფრო სრულყოფილი რეჟიმის კვლევის აუცილებლობას.

ეკონომიკური მეცნიერების წინაშე კორონომიკის მიერ დაყენებული ზემოთ განხილული საკითხები მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ვრცელი ნუსხის, რომლის ფორმირებაც ეკონომისტთა გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

კორონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკა

COVID-19-ის პანდემიის მოულოდნელმა ხასიათმა სხვადასხვა ქვეყნის მთავრობას არაერთი შეცდომა დააშვებინა.

სავარაუდოდ ტრადიციულ ლიბერალურ მიდგომას უნდა „დაბრალდეს“ ის კურიოზული და იმავდროულად სამწუხარო შეცდომა, რომელიც აშშ-ის ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო მდივნმა დაუშვა, როცა განაცხადა, რომ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნა და გავრცელება თურმე უშუალოდ კერძო სექტორის პრეროგატივა ყოფილა (Sachs, 2020). სინამდვილეში ეპიდემიის დამარცხება მხოლოდ სახელმწიფოს ძალისხმევითაა შესაძლებელი, ხოლო პანდემიის დაძლევა კი სახელმწი-

ფოთა შეთანხმებული მოქმედების გარეშე წარმოუდგენელია (Stiglitz, 2020a).

აშკარაა, რომ COVID-19-ის პანდემიის და კორონომიკური კრიზისის პირობებში აუცილებელია პრინციპულად გადაიხედოს სახელმწიფოს როლი მისი ზრდის მიმართულებით. უწინარეს ყოვლისა, ეს ჯანდაცვის სფეროს ეხება. რაც მთავარია, კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნა და მისი საყოველთაო ხელმისაწვდომობა სწორედ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს (Stiglitz, Jayadev, Prabhala, 2020).

COVID-19-ის პანდემიის თანამედროვე ეტაპზე, ანუ სანამ შესაბამისი ვაქცინა ჯერ კიდევ არ არის შექმნილი, ჩემი აზრით, ჯანდაცვის სფეროს ბევრი სპეციალისტი გულუბრყვილოდ თვლის, რომ ამ ვაქცინის შექმნა პრინციპულად გადაწყვეტს პანდემიის დაძლევის ამოცანას. ჩემი აზრით, პრობლემას ართულებს ის გარემოება, რომ COVID-19-ის პანდემიის დაწყებასთან ერთად ფართოდ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კორონავირუსი ხელოვნურადაა შექმნილი იმ მიზნით, რომ შემდეგ მისი საწინააღმდეგო ვაქცინის გამოყენებით უზრუნველყონ დედამიწის მოსახლეობის არსებითი შემცირება. ამის გამო სულაც არ არის ერთმნიშვნელოვანი, რომ ყველა ადამიანი დათანხმდება აცრას. ამ შემთხვევაში კი ვაქცინის შექმნა და მისი ფართოდ გავრცელება სულაც არ იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს, რომ COVID-19-ის პანდემიის დამარცხება ვაქცინის გამოყენებით იქნება შესაძლებელი. ნებისმიერ შემთხვევაში, სახელმწიფოთა წინაშეა გამოწვევა, თუ როგორ მოახერხებს COVID-19-ის პანდემიის დაძლევას ვაქცინის მიმართ ხსენებული წინასწარ ფორმირებადი უნდობლობის პირობებში. ამ მიმართულებით პრობლემის შესწავლა აშკარად საშური საქმეა.

კორონომიკურმა კრიზისმა, უწინარეს ყოვლისა, ტურისტული სექტორი დააზარალა. არანაკლები ზიანი მიადგა სამგზავრო გადაზიდვებს. „ჯაჭვური რეაქციის“ მსგავსად კრიზისმა ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სექტორი ჩაითრია.

ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით მთავრობები, როგორც წესი, მიმართავენ საგადასახადო შეღავათებისა და შეღავათიანი დაკრედიტების სისტემებს, რაც ირიბად ხელს უწყობს ეკონომიკის ზომბირების პროცესს (Stiglitz, 2020b). კერძოდ, იმ ფირმებს, რომლებსაც კორონომიკური კრიზისის დაწყებამდე შეიძლება ჰქონოდათ ფინანსური პრობლემები, ამ კრიზისის გამო მათთვისაც ხელმისაწვდომი ხდება საგადასახადო შეღავათები და შეღავათიანი კრედიტები, რითაც იხანგრძლივებენ ბაზარზე ყოფნის შესაძლებლობას. ამ ტიპის ფირმებს როგორც ცნობილია ზომბი-ფირმები ეწოდება (მაგალითად, Ahearne, Shinada, 2005). კრიზისის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებულ აქტუალურობას შეიძენს ეკონომიკის ზომბი-ფირმებისგან გათავისუფლება, რაც, როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს, საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს (Krugman, 2020).

შექმნილმა მძიმე ვითარებამ ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ ორი მიდგომა ჩამოაყალიბა. კერძოდ, თუ როგორი უნდა იყოს ეკონომიკური პოლიტიკა უშუალოდ კორონომიკური კრიზისის დროს, და როგორი – კრიზისის შემდგომ პერიოდში. პირველს ანტიკრიზისული, მეორეს კი ეკონომიკის აღდგენის პოლიტიკა ეწოდება.

ანტიკრიზისული ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი ამოცანაა მოსახლეობის ყველაზე შეჭირვებული ფენებისათვის მიზნობრივი სოციალური დახმარების გაწევა. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია მთავრობის მხრიდან იმ კომპანიების პირდაპირი თუ ირიბი მხარდაჭერა, რომელთაც პანდემიის შემდგომ პერიოდში უნდა უზრუნველყონ ეკონომიკის მეტ-ნაკლებად სწრაფი აღორძინება.

ეკონომიკის აღდგენის პოლიტიკა კი ორიენტირებული უნდა იყოს იმაზე, რომ ხელი შეეწყოს ეკონომიკის იმ სექტორების განვითარებას, რომლებიც მსგავსი ხასიათის პანდემიის განმეორების შემთხვევაში ეკონომიკის უფრო მეტ მდგრადობას უზრუნველყოფს.

ანტიკრიზისული ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებებიდან გამომდინარე, რომლებიც უმთავრესად სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ ხარჯების ზრდას ეფუძნება აუცილებლად გამოიწვევს საბიუჯეტო დეფიციტის ზრდას. ეს კი პანდემიით მოცული ყველა ქვეყნისთვის ძალზედ სერიოზული პოსტკრიზისული პრობლემა იქნება.

მაშასადამე, ეკონომიკის აღდგენის პოლიტიკა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს საბიუჯეტო დეფიციტის ზრდით გამოწვეული პრობლემის გადაწყვეტასაც. რადგანაც ამ დეფიციტის დაფარვის ერთ-ერთი აღიარებული გზა საგარეო ვალუების ზრდაა, ამიტომ ეკონომიკური პოლიტიკა პოსტკრიზისულ პერიოდში ასევე ფოკუსირებულ უნდა იქნეს ამ ვალუების მომსახურებაზე.

COVID-19-ის პანდემიამ წინა პლანზე წამოწია სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა (Blair, Kalibata, 2020). აქედან გამომდინარე, პრაქტიკულად ყველა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად პოსტკრიზისულ პერიოდში ზოგადად ეკონომიკური (და მათ შორის სასურსათო) უსაფრთხოების გაძლიერების ხელშეწყობი ღონისძიებების გატარება უნდა გახდეს.

ბუნებრივია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის წინაშე კორონომიკის მიერ დაყენებულ საკითხთა ნუსხა ბევრად უფრო ფართოა. წინამდებარე სტატიაში განხილული საკითხები კი შეირჩა მათი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე.

დასკვნა

COVID-19-ის პანდემიამ თვისებრივად ახალი კორონომიკური კრიზისი ჩამოაყალიბა, რაც, აუცილებელია, ეკონომიკური მეცნიერების მიერ ყოველმხრივ იქნას შესწავლილი.

იმ პრობლემათა შორის, რომლებიც განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია ეკონომიკური მეცნიერებისთვის, გლობალიზაციისა და დეგლობალიზაციის პროცესების სიღრმისეული გაანალიზება პრიორიტეტულად უნდა ჩაითვალოს.

კორონომიკურმა კრიზისმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ეკონომიკური მეცნიერებისათვის ისევ და ისევ აქტუალურ თემას წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის პრობლემის კვლევა.

პრინციპულად შესაცვლელია დამოკიდებულება საავტორო უფლებების დაცვისა და პატენტების არსებული სისტემის მიმართ. კერძოდ, აუცილებელია საზოგადოებრივი დოვლათის არსებული ფარგლების გაფართოება, როცა ამ დოვლათად ახალი ტექნოლოგიებიც იქნება აღიარებული.

ერთობლივი მიწოდების შემცირებით გამოწვეულმა ინფლაციურმა პროცესებმა გაამძაფრა ცენტრალური ბანკების მიერ ინფლაციის თარგეთირების რეჟიმის გამოყენება, რის გამოც ეკონომიკური მეცნიერების წინაშე დგება მონეტარული პოლიტიკის უფრო სრულყოფილი რეჟიმის კვლევის აუცილებლობა.

კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნა სულაც არ არის საკმარისი პირობა, რომ COVID-19-ის პანდემია დასრულდეს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვას, რომელიც მოსახლეობაში საყოველთაო ვაქცინაციის მიმზიდველობას გაზრდის.

კორონომიკური კრიზისის პერიოდში ბიზნესისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესება და შეღავათიანი კრედიტების მიცემა ეკონომიკაში ზომბი-ფირმების წარმოქმნას უწყობს ხელს. ეკონომიკის მათგან გათავისუფლება იქნება კრიზისის შემდგომი ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ურთულესი ამოცანა.

COVID-19-ის პანდემიამ ერთმნიშვნელოვნად განაპირობა ანტიკრიზისული ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკის აღდგენის პოლიტიკის გამიჯვნის აუცილებლობა.

ანტიკრიზისული ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებათა გათვალისწინებით საბიუჯეტო დეფიციტის ზრდა გარდაუვალია. კრიზისის შემდგომ პერიოდში ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად უნდა იქნეს განხილული ამ დეფიციტის დაფარვისათვის სახელმწიფოს მიერ აღებული სესხების (მათ შორის საგარეო სესხების) ეფექტიანი მომსახურების განხორციელება.

იმის გათვალისწინებით, რომ მომავალში COVID-19-ის მსგავსი პანდემიის ფორმირება სულაც არ არის გამორიცხული, ამიტომ პოსტკრიზისული ეკონომიკური პოლიტიკისათვის პრიორიტეტული უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების და განსაკუთრებით სასურსათო უსაფრთხოების საკითხების წინა პლანზე წამოწევა.

COVID-19-ის მსგავსი პანდემიის განმეორების რეალური საფრთხის გთვალისწინებით კორონომიკური კრიზისის შესწავლა მხოლოდ მიმდინარე პრობლემად არ უნდა ჩაითვალოს.

კორონომიკურმა კრიზისმა ეკონომიკური მეცნიერების დააყენა. წინამდებარე სტატიაში განხილული საკითხები მათი და ეკონომიკური პოლიტიკის წინაშე მრავალი პრობლემა მხოლოდ ნაწილია, თუმცა საკმაოდ მნიშვნელოვანი.

ლიტერატურა/REFERENCES

- Abesadze, R. (2020). Globalization and the Economic Problems of the Pandemic. *Economics and Business*, No. 2. (In Georgian.)
- Ahearne, A. G., & Shinada, N. (2005). Zombie Firms and Economic Stagnation in Japan. *International Economics and Economic Policy*, Vol. 2, No. 4.
- Alwis, A. de. (2020). Coronomics – Plan Your Eggs and the Basket! *Daily FT*, February 25, <http://www.ft.lk/columns/Coronomics-%E2%80%93-Plan-your-eggs-and-the-basket-/4-695109>.
- Archvadze, J. (2020a). *Global Changes Related to the Coronavirus Pandemic (Politico-Economic Aspects)*. Tbilisi, “Mtsignobari.” (In Georgian.)
- Archvadze, J. (2020b). Transformation of State Function in the Post-Pandemic Period. *Economics and Business*, No. 2. (In Georgian.)
- Åslund, A. (2020). Trump’s Global Recession. *Project Syndicate*, March 13, <https://www.project-syndicate.org/commentary/donald-trump-covid19-global-recession-by-anders-aslund-2020-03>.
- Balarjishvili, I. (2018). The Paradigm Crisis and the “Mainstream” Potential of the Institutional Economy. *Globalization & Business*, No. 6. (In Georgian.)
- Baldwin, R., & Mauro, B.W. di, eds. (2020). *Mitigating the COVID Economic Crisis: Act Fast and Do Whatever It Takes*. London, CEPR Press, https://voxeu.org/content/mitigating-covid-economic-crisis-act-fast-and-do-whatever-it-takes?fbclid=IwAR2tO7kRFEGS1_3J88oedtd1G3CARE4S0PFDSmOFJeSzH5tfEi6Odu55Fx8.
- Basu, K. (2020). How the Pandemic Should Shake up Economics. *Project Syndicate*, June 22, https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-pandemic-shows-markets-depend-on-tacit-social-norms-by-kaushik-basu-2020-06?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=4bba15cfe5-sunday_newsletter_06_28_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-4bba15cfe5-93567601&mc_cid=4bba15cfe5&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog.
- Benashvili, G. (2020). Coronomics – the Need for a Rethinking of Economic Policy. *Economics and Business*, No. 2. (In Georgian.)
- Blair, T., & Kalibata, A. (2020). Building Food Security During the Pandemic. *Project Syndicate*, May 7, https://www.project-syndicate.org/commentary/four-ways-to-boost-food-security-during-covid19-pandemic-by-tony-blair-and-agnes-kalibata-2020-05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=2ad6876daf-sunday_newsletter_10_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-2ad6876daf-93567601&mc_cid=2ad6876daf&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog.
- Birks, S. (2016). *40 Critical Pointers for Students of Economics*. London, College Publications.
- Bookstaber, R. (2017). *The End of Theory. Financial Crises, the Failure of Economics, and the Sweep of Human Interaction*. Princeton, Princeton University Press.
- Carlsson-Szlezak, P., Reeves, M., & Swartz, P. (2020). What Coronavirus Could Mean for the Global Economy. *Harvard Business Review*, March 3, <https://hbr.org/2020/03/what-coronavirus-could-mean-for-the-global-economy>.
- Charaia, V. (2020). Coronomics – Threat or Possibility?! *Economics and Business*, No. 2. (In Georgian.)
- Davies, H. (2010). *The Financial Crisis: Who is to Blame?* Cambridge, The Polity Press.
- Djibuti, M. (2020). Viral Variations of Political Economy. *Economics and Business*, No. 2. (In Georgian.)
- Eichengreen, B. (2020). Coronanomics 101. *Project Syndicate*, March 10, https://www.project-syndicate.org/commentary/limits-macroeconomic-tools-coronavirus-pandemic-by-barry-eichengreen-2020-03?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=cba7e1c6a1-sunday_newsletter_15_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc_cid=cba7e1c6a1&mc_eid=e9fb6cbcc0.
- El-Erian, M.A. (2020). Navigating Deglobalization. *Project Syndicate*, May 11, https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-deglobalization-two-priorities-by-mohamed-a-el-erian-2020-05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=3ce69c95d3-sunday_newsletter_17_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-3ce69c95d3-93567601&mc_cid=3ce69c95d3&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog.
- Faddis, C.S. (2020). Coronavirus: The True Face of Iran. *The Hill*, March 3, <https://thehill.com/opinion/international/486438-coronavirus-the-true-face-of-iran>.
- Fullbrook, E. (2016). *Narrative Fixation in Economics*. London, College Publications.
- Fung, V.K. (2020). The Trade Cure for the Global Economy. *Project Syndicate*, April 22, https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-crisis-revive-multilateralism-open-trade-by-victor-k-fung-2020-04?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=871db40e9f-sunday_newsletter_26_04_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-871db40e9f-93567601&mc_cid=871db40e9f&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog.
- Gaganidze, G. (2020). World Economy Before the Pandemic, During the Pandemic and After the Pandemic. *Economics and Business*, No. 2. (In Georgian.)

- Geller A., Wiseman P., & Rugaber C. (2020). Outbreak Starts to Look More Like Worldwide Economic Crisis. *Herald Tribune*, February 28, <https://www.heraldtribune.com/business/20200228/outbreak-starts-to-look-more-like-worldwide-economic-crisis>.
- Ghebreyesus, T.A. (2020). WHO Director-General’s Opening Remarks at the Media Briefing on COVID-19 – 11 March 2020. *World Health Organization*, March 11, <https://www.who.int/dg/speeches/detail/who-director-general-s-opening-remarks-at-the-media-briefing-on-covid-19---11-march-2020>.
- Gigerenzer, G. (2020). Why What Does Not Kill Us Makes Us Panic. *Project Syndicate*, March 12, <https://www.project-syndicate.org/commentary/greater-risk-literacy-can-reduce-coronavirus-fear-by-gerd-gigerenzer-2020-03>.
- Haass, R.N. (2020). Deglobalization and Its Discontents. *Project Syndicate*, May 12, https://www.project-syndicate.org/commentary/deglobalization-discontents-by-richard-n-haass-2020-05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=3ce69c95d3-sunday_newsletter_17_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-3ce69c95d3-93567601&mc_cid=3ce69c95d3&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog.
- Hamada, K. (2020). Epidemics, Economics, and Externalities. *Project Syndicate*, August 27, https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-epidemics-economics-externalities-social-justice-by-koichi-hamada-2020-08?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=219b01f4ff-covid_newsletter_03_09_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-219b01f4ff-93567601&mc_cid=219b01f4ff&mc_eid=e9fb6cbcc0.
- Hatheway, L. (2020). A COVID-19 Emergency Response Plan. *Project Syndicate*, February 27, <https://www.project-syndicate.org/commentary/covid-19-economy-response-plan-by-larry-hatheway-2020-02>.
- Heilbroner, R., & Milberg, W. (1996). *The Crisis of Vision in Modern Economic Thought*. Cambridge, Cambridge University Press.
- Hey, D., eds. (1992). *The Future of Economics*, D. Hey eds. Oxford, Blackwell.
- Hill, R., & Myatt, T. (2010). *The Economics Anti-Textbook: A Critical Thinker’s Guide to Microeconomics*. Halifax, Fernwood Publishing.
- Kakulia, M. (2020). Lessons from the Coronomic Crisis for Georgia. *Economics and Business*, No. 2. (In Georgian.)
- Kanth, R.K. (1997). *Against Economics. Rethinking Political Economy*. Aldershot, Ashgate.
- Kharbedia, R. (2018). Economic Problems or the Crisis of Economic Science. *Globalization & Business*, No. 6. (In Georgian.)
- Kovzanadze, I. (2020). The Challenges of the Economy and Its Prospects Against the Background of Infection COVID-19. *Economics and Business*, No. 2. (In Georgian.)
- Krugman, P., (2020). *Arguing with Zombies: Economics, Politics, and the Fight for a Better Future*. New York, W.W Norton & Company.
- Leishvily, P. (2012). *Economic Activity: Teleological Analysis*. New York, Nova Science Publishers.
- Maresso, A., Mladovsky, P., Thomson, S., Sagan, A., Karanikolos, M., Richardson, E., Cylus, J., Evetovits, T., Jowett, M., Figueras, J., & Kluge, H., eds. (2015). *Economic Crisis, Health Systems and Health in Europe. Country experience*. Copenhagen, World Health Organization, http://www.euro.who.int/__data/assets/pdf_file/0010/279820/Web-economic-crisis-health-systems-and-health-web.pdf?ua=1.
- Marqués, G. (2016). *A Philosophical Framework for Rethinking Theoretical Economics and Philosophy of Economics*. London, College Publications.
- Mazzucato, M., & Torreele, E. (2020). How to Develop a COVID-19 Vaccine for All. *Project Syndicate*, April 27, https://www.project-syndicate.org/commentary/universal-free-covid19-vaccine-by-mariana-mazzucato-and-els-torreele-2020-04?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=64d8372856-sunday_newsletter_03_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-64d8372856-93567601&mc_cid=64d8372856&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog.
- McCloskey, D.N. (2010). *Bourgeois Dignity: Why Economics can’t Explain the Modern World*. Chicago, The University of Chicago Press.
- Mekvabishvili, E. (2018). Theory of Economic Crises or the Crisis of Economic Theory? *Globalization & Business*, No. 6. (In Georgian.)
- Mekvabishvili, E. (2020). The Impact of the Global Coronary Crisis on the Georgian Economy. *Economics and Business*, No. 2. (In Georgian.)
- Offer, A., & Söderberg, G. (2016). *The Nobel Factor: The Prize in Economics, Social Democracy, and the Market Turn*. Princeton, Princeton University Press.
- Paarlberg, D. (1968). *Great Myths of Economics*. New York, The New American Library.
- Papava, V. (2018). The Economics in Crisis and the Main Directions for Transformation of Economic Science. *Transformations*, No. 3-4 (98-99).
- Papava, V. (2020a). Coronomic Crisis: When The Economy Is A Hostage To Medicine. *Eurasia Review. Journal of Analysis and News*, March 29, <https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/>.
- Papava, V. (2020b). Coronomics and a Qualitatively New Economic Crisis. *Economics and Business*, No. 2. (In Georgian.)
- Papava, V. (2020c). Georgia’s European Way During the Period of Pandemic Deglobalization. *Rondeli Blog*, August 6, <https://>

- www.gfsis.org/blog/view/1091.
- Papava, V., & Charaia, V. (2019). On Complex Inflation Targeting and Modified Inflation Indicators (Experience of Georgia). *Finance: Theory and Practice*, Vol 23, No 3, <https://financetp.fa.ru/jour/article/view/855/575>.
- Papava, V., & Charaia, V. (2020). *The Coronomic Crisis and Some Challenges for the Georgian Economy*. Expert Opinion No. 136. Tbilisi, Georgian Foundation for Strategic and International Studies, <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/136-expert-opinion-eng.pdf>.
- Pei, M. (2020). Will the Coronavirus Topple China's One-Party Regime? *Project Syndicate*, March 4, https://www.project-syndicate.org/commentary/coronavirus-china-political-consequences-by-minxin-pei-2020-03?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=5a74e31e27-sunday_newsletter_08_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-5a74e31e27-93567601&mc_cid=5a74e31e27&mc_eid=e9fb6cbcc0%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%20(https://thehill.com/opinion/international/486438-coronavirus-the-true-face-of-iran).
- Pilkington, P. (2016). *The Reformation in Economics. A Deconstruction and Reconstruction of Economic Theory*. London, The Palgrave Macmillan.
- Roach, S.S. (2020). The False Crisis Comparison. *Project Syndicate*, March 19, <https://www.project-syndicate.org/commentary/covid-19-crisis-nothing-like-2008-by-stephen-s-roach-2020-03>.
- Rogoff, K. (2020). Deglobalization will Hurt Growth Everywhere. *Project Syndicate*, June 3, https://www.project-syndicate.org/commentary/deglobalization-threat-to-world-economy-and-united-states-by-kenneth-rogoff-2020-06?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=56f4462bc8-sunday_newsletter_07_06_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-56f4462bc8-93567601&mc_cid=56f4462bc8&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog.
- Riley, C. (2020). Coronavirus is Fast Becoming a 'Economic Pandemic.' *CNN Business*, February 25, <https://edition.cnn.com/2020/02/24/business/coronavirus-global-economy/index.html>.
- Rodrik, D. (2015a). *Economics Rules: The Rights and Wrongs of the Dismal Science*. New York, W. W. Norton & Company.
- Rodrik, D. (2015b). Economists vs. Economics. *Project Syndicate*, September 10, https://www.project-syndicate.org/commentary/economists-versus-economics-by-dani-rodrik-2015-09?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=be2a176f93-Sept_13_2015_5_2015&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-be2a176f93-93567601&barrier=accessreg.
- Rodrik, D. (2020). Making the Best of a Post-Pandemic World. *Project Syndicate*, May 12, https://www.project-syndicate.org/commentary/three-trends-shaping-post-pandemic-global-economy-by-dani-rodrik-2020-05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=3ce69c95d3-sunday_newsletter_17_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-3ce69c95d3-93567601&mc_cid=3ce69c95d3&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog.
- Sachs, J.F. (2017a). *Building the New American Economy. Smart, Fair, and Sustainable*. New York: Columbia University Press.
- Sachs, J. (2017b). Global Cooperation is the Only Way Forward for the US. *World Economic Forum*, January 6, <https://www.weforum.org/agenda/2017/01/jeffrey-sachs-global-cooperation-is-the-only-way-forward-for-the-us/>.
- Sachs, J. (2020). The Trump Administration's Ludicrous Approach to Coronavirus Vaccine. *CNN Opinion*, March 5, <https://edition.cnn.com/2020/03/05/opinions/ludicrous-plan-coronavirus-vaccine-opinion-sachs/index.html>.
- Sandmo, A. (2011). *Economics Evolving: A History of Economic Thought*. Princeton, Princeton University Press.
- Shapatava, D. (2018). Economic Science Crisis as a Reflection of the World Economic Crisis. Approaches and assumptions. *Globalization and Business*, No. 6. (In Georgian.)
- Shengelia, T. (2020). Global Economic Recession and Post-Viral Development of Georgia. *Economics and Business*, No. 2. (In Georgian.)
- Shiller, R.J. (2019). *Narrative Economics. How Stories Go Viral & Drive Major Economic Events*. Princeton, Princeton University Press.
- Skidelsky, R. (2016). Economists versus the Economy. *Project Syndicate*, December 23, <https://www.project-syndicate.org/commentary/mathematical-economics-training-too-narrow-by-robert-skidelsky-2016-12>.
- Söderbaum, P. (2017). Do We Need A New Economics for Sustainable Development? *Real-World Economics Review*, Issue No. 80, <http://www.paecon.net/PAERreview/issue80/Soderbaum80.pdf>.
- Staveren, I. van (2015). *Economics After the Crises. An Introduction to Economics from a Pluralist and Global Perspective*. London, Routledge.
- Stiglitz, J. (2010a). An Agenda for Reforming Economic Theory. *YouTube*, April 23, https://www.youtube.com/watch?v=L9KAd_nqINy.
- Stiglitz, J. (2010b). Needed: A New Economic Paradigm. *Financial Times*, August 20, <https://www.ft.com/content/d5108f90-abc2-11df-9f02-00144feabdc0>.
- Stiglitz, J.E. (2020a). Plagued by Trumpism. *Project Syndicate*, March 9, https://www.project-syndicate.org/commentary/trump-coronavirus-failure-of-small-government-by-joseph-e-stiglitz-2020-03?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=cba7e1c6a1-sunday_newsletter_15_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc_cid=cba7e1c6a1&mc_eid=e9fb6cbcc0.

- Stiglitz, J.E. (2020b). Priorities for the COVID-19 Economy. *Project Syndicate*, July 1, https://www.project-syndicate.org/commentary/covid-2020-recession-how-to-respond-by-joseph-e-stiglitz-2020-06?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=67133fbc7b-covid_newsletter_02_07_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-67133fbc7b-93567601&mc_cid=67133fbc7b&mc_eid=e9fb6cbcc0.
- Stiglitz, J.E., Jayadev, A., Prabhala, A., (2020). Patents vs. the Pandemic. *Project Syndicate*, April 23, <https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-drugs-and-vaccine-demand-patent-reform-by-joseph-e-stiglitz-et-al-2020-04>.
- Suhrcke, M., Stuckler, D., Suk, J.E., Desai, M., Senek, M., McKee, M., Tsovala, S., Basu, S., Abubakar, I., Hunter, P., Rechel, B., & Semenza, J.C. (2011). The Impact of Economic Crises on Communicable Disease Transmission and Control: A Systematic Review of the Evidence." *PLoS ONE*, June 10, <https://journals.plos.org/plosone/article?id=10.1371/journal.pone.0020724>.
- Syll, L.P. (2016). *On the Use and Misuse of Theories and Models in Mainstream Economics*. London, College Publications.
- Tokmazishvili, M. (2018). Global Economic Crisis and Economic Science. *Globalization & Business*, No. 5. (In Georgian.)
- Turner, A. (2012). *Economics after the Crises. Objectives and Means*. Cambridge, The MIT Press.
- Velasco, A. (2020). Are We All Keynesians Again? *Project Syndicate*, August 25, https://www.project-syndicate.org/commentary/states-must-be-insurer-of-last-resort-against-aggregate-risks-by-andres-velasco-2020-08?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=84fdc5db75-sunday_newsletter_30_08_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-84fdc5db75-93567601&mc_cid=84fdc5db75&mc_eid=e9fb6cbcc0.
- WHO, (2011). *Impact of Economic Crises on Mental Health*. Copenhagen, World Health Organization, http://www.euro.who.int/__data/assets/pdf_file/0008/134999/e94837.pdf?ua=1.